

ს ვ ა ლ ი



სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატიანი გაზეთი. გამოსვლის ყოველ კვირა დღეს.

№ 49.

ნომერი 28, 1893 წ.

№ 49.

შეჯავსია:—მიკევილი და პადერესკი გ.წერეთლისა.—ჩვენი საბიუბო მახაკაღისა.—უდარდღეს პოეტს, ლექსი ჩხერიმელის პირელისა.—მიკოე შენიშვნა ბოკაჰისა.—ქებათა-ქება, ლექსი ვაჟა ფშაველასი.—ლეღწამ-კალამში ნადირობა ა.—თ—წ—ლისა.—ემმა, მოთხრობა ე. ბარნოვისა —სახუმარო-გასართობი.—კრიტიკული შენიშვნები დუტ. მეგრელის თხზულებაზე, პ. გ—ეა.—განცხადებანი.



პოლონის პოეტი მიკევილი

პოლონის მემუსიკე პადერესკი.

მიკვეთის და ზადერეესკი.



მეცრამეტე საუკუნეში პოლში შეიქნა მემუსიკთა და პოეტთა ბუდეთ. მიკვეთის, როგორც პოეტს ჩვენ საუკუნეში თითქმის პოეტი არ შეედრება და ზადერეესკისაც, როგორც მემუსიკს, მოამღერალს და ფორტეფიანოზე დამკვირვლს ტოლი არა ჰყავს ამ უკანასკნელს დროს. მიკვეთიმა მოსთქვა პოლშის უბედური ისტორიული სეე, შეპკრიბა და შეაკავშირა დედამიწის ზურგზე განთესილი და გაბნეული მამულის შეიღები ერთი გრძნობით, სამშობლოს სიყვარულით, და ჩასდო კვალ წაუშლელი საფუძველი თავის ქვეყნისა მოამეღისათვის. ზადერეესკი აგრეთვე, როგორც გენიოსი მემუსიკე, შეიქნა ცოცხალი სურათი პოლშის ეროვნების უმხარატესობისა მრავალთა განათლებულთა ერთა შორის. იგი თავის ლეილური სამუსიკო ნიჭით ეფრობას და ამერიკას თანასწორად აღეღებს, უფიქრებს მათ საუკეთესო კაცობრიობის ამამაღლებელს გრძნობებს და აგონებს მათ პოლშს, აცხოველებს მათ თვალწინ მის წარსულს და სხივს ჰყენს მის მომავალს.

ზადერეესკი არის ერთი პოდოლის გუბერნიის აზნაურთაგანი. ამ თოხმეტის წლის წინათ, როდესაც მისი ცეცხლ-მქმნაი აღტაცებული ჭაბუკობა მოქმედობდა სახელისა და დიდების მოხვეჭისათვის, ის დადიოდა ქალაქიდან ქალაქში, აძლევდა კონცერტებს, მღეროდა, უკრავდა ფორტეპიანზე შესანიშნავი ხელოვნებით; მაგრამ უმაღლესი თანამემამულეებმა ვერ შენიშნეს გენიოსი. იმან მოელო მთელი რუსეთი და პოლში; მაგრამ ევრსად ევრა გააწყურა. პოლის ეარშაის ქალაქმა დააფასა ახალგაზდა მემუსიკის ნიჭი და დანიშნა იგი ეარშაის კონსერვატორიაში პროფესორად. აქ ნამდვილმა მუსიკაში განითარებულმა კაცებმა მალე შენიშნეს მისი უფხარი ნიჭი და დააყენეს იგი საზოგადოებოში თანაგრძობის მოპოებით წარმატების გზაზე. ზადერეესკი ამას შემდეგ გაემგზავრა ბერლინს და იქ კიდევ უფრო დიდს განვითარებაში შეიყენა თავის სამუსიკო ნიჭი. ბერლინიდან ის გადავიდა ვენაში და ცოტათი ხანს შემდეგ აქ წარჩინებულ პოლშელ მემუსიკეების შემწეობით ასხელი განიქმნა. როდესაც მის თბხულებებს ისმენდნენ, ასე ეგონათ მოცარტე ვაცოცხლდა. ერთ საღამოს მემუსიკე სეისტობოგისთან ერთმა სახელოვნებმა მემუსიკემ დაპარაკი ჩამოაგდო იმაზე, რომ ახლანდელ დროში ევლარ გამოჩნდება მოცარტესთანა გენიოსი. ზადერეესკიმ არა შეტყარა, მხოლოდ ცოტას ხანს შემდეგ მიიღო ფორტეფიანოსთან და უთხრა მას, „ერთ პაწია მოცარტის თბხულებას დაუტყარე, რომ უჯერ არ გაგეგონოსო“.

როცა ზადერეესკიმ დაკრა გაათავა, ის ცნობილი მემუსიკე აღტაცებით დაეკითხა ზადერეესკის: „ვე მართლაც, რომ მოცარტესებური თბხულებბაა. აბა, მიიხაროთ, ვის შეუძლია მაგისთანა თბხულების დაწერა ახლანდელს დროში?“

— მეო, უთხრა ზადერეესკიმ. — ეს თბხულებბა ჩემი დაწერილია. განთქმული მემუსიკე განცვიფრებული დარჩა ამ ამბით.

ზადერეესკი, როგორც მემუსიკე, ისეთი ცნობილი და საყვარელი შეიქნა ვენაში, რომ მალე პარიოში მიიწვიეს. შეგნიერი თვალ-ტანადობა, თვალ-ყურება და სქელი დაბუტუბული ოქროს თიანეი ზადერეესკი შესანიშნავს შობამედილებას ახდენდა პარიტის საზოგადოებაში. ის იყო შეუდარებელი ხელოვანი და, როგორც კაცი მისი დაზნათიანი მიხერბამოხერით და ზრდილობით, სულში ჩასაძერენი გახდა. ამასთანავე ის იყო შეუდარებელი დამკვირველი ფორტეპიანზე და გენიოსი ნიჭითა. ზადერეესკი ახლაც ისეთი კაცია, რომ საზოგადოებაში გამოჩენის უმაღლეს მიიზიდავს ხოლმე ყველას თანაგრძობას და სიყვარულს. პარიტიდან ზადერეესკი წავიდა ლონდონში და თავისი თბხულების დაკრით მთელი ინგლისის სატატებო ქალაქი ააღელვა. დიდი და პატარა მანე ლაპარაკობდა, მის ვასაოკარ სამუსიკო ხელოვნებაზე და მის შესანიშნავს თბხულებებზე. ინგლისში კაროლევა ეიტორიამ იგი თავის სასახლეში მიიპატრია, გვერდით მოისევა სეარტელზე და გულ-მოწყალეთ დაუწყო საუბარი. თეთი ეიტორიას ასულმა თავისი ხელით გადმოხატა ზადერეესკის სახე; აგრეთვე წარჩინებულთა ინგლისელთა მხატვართა: ალმა ტაღემამ და ჯონბურჯონმა გადღეს მისი სახე კაროლევის ეიტორიას ნებით, ის შეიქნა ინგლისის სამეფო სამუსიკო აკადემიის საპატოო წევრად. ინგლისიდან ზადერეესკი განემგზავრა ამერიკაში და იქ მთელს ამერიკის სახელმწიფოში დიდი აღტაცებით მიიღეს.

თითო კონცერტიდან ორმოცდაათი-ათასი ფრანკი ნაღდი მოეგება შემოდოდა. ის მალე გახდა მილიონის პატრონი და ისე დაბრუნდა თავის ქვეყანაში. აქ მას დახვდა რუმინის კაროლევის მიპატრეების წევრილი. რუმინთაშიდაც ზადერეესკის, როგორც ერთს ვისმე წარჩინებულს თეთი საკაროლო სასახლის წევრთაგანს, ისე ღებულობდნენ. რუმინის დედოფალი დიდი ყურადღებით ეტყეოდა სახელოვანს პოლშის მემუსიკს. მრავალნი ზადერეესკის სამუსიკო თბხულებანი, სიამბი, გრძნობის სიღრმით და სინაზით მოცარტის მუსიკას თუ არ ვადაამეტებენ, არ ჩამოუარდებიან. მაგრამ ყველაზე შესანიშნავი მისი თბხულებბა არის სამუსიკოთ გადღებულთი პოლშის

დიდებულის პოეტის მიცკეიჩის ექვსი სასიმღერო ლექსი. იმ ექვს ლექსში ჩვენ გავდივართ მხოლოდ ორი მათგანი ქართულ ენაზე. ამ სუსტი ნათარგმნით, თუ ცოტადანათად არის, მაინც მივახვედრეთ მკითხველი მიცკეიჩის ღრმა პოეტურს გრძნობას, ესეც საკმაო იქნება ჩვენთვის:

1.

სად ხარ ჩემო სიყმაწვილე,
 შენ მარგალიტო ბრჭყიალა,
 სიჭაბუკეე ქარტცხილო,
 გრძნობით ზღვისაებრ გრიალა?
 ეა მე! გაჭრა!.. ცრემლი მწარე,
 თვალთავან მდის, ვით ძიმწარე.

ახლა რა ვარ?... თმა ქალარა
 გული ყინვით დათოზილი;
 ტანში ღონე სულ აღარი, —
 ვარ ტაძარი დამზობილი.
 ეამ ჩემს ბედსა!.. ცრემლი მწარე,
 თვალთავან მდის, ვით ძიმწარე.

2.


ნეტა ვიყო ბურსეული,
 შემოგეკრა ხუჭუჭ თმებზე:
 ნეტა ვიყო ვულისპირი,
 დაგეკონო მაგ გულ-მკერდზე.

მოვისმინო ვულის ტოკეა,
 რომ შეგიტყო სიყვარული;
 ნეტამც ვიყო შენი სუნთქეა,
 შენსა მკერდში შთასუნთქეული.

ნეტა ვიყო ცის პაკრი,
 მზის სხივებზე მომცურავი,
 შემოგებეც ჩემს მიჯნურსა,
 დაესტებ შენით გრძნობა-მწეავი.

მაშინ იცნობს ღმერთი, ზეცით
 თუ მოხედავს ჩემს სიყვარულს;
 ხან მომკლავს, ხან გამაცოცხლებს,
 ჩემად გახდის რა შენსა გულს.

გ. წერეთელი



ჩვენის სახეობა

„ორი ობოლი“ დრამა თარგმ. ცაგარლისა. ბენეფისი სიმონიძისა.

ტოგმობის 24-ს ბნ სემონიძის საბუნებისოღ წარმოადგინეს „ორი ობოლი“ დრამა ფრანგულიდან გადმოღებული ბნ ცაგარლის მიერ. ოსზულება მეტად ნაკმაზია მრავალ ნაირი სულის შემადარწუნებელი ცხოვრების შემთხვევებით. რა არ გინდათ, რომ ამ დრამაში არ იყოს. კაცის კვლა, ძმის კვლა, ნაშუის ახლა, დევნულება, ჩიღლა დამახინჯება ერთი სიტყვით ნამდვილი გაცოცხლებული ჯოჯოხეთის სურათია მაყურებლის თვალ წინ წარმოადგინილი, ვითამ და მაყურებელს გული შეურყიოს, სული აღუშვოთოს, შედარწუნოს და მითი იმოქმედოს საზოგადოების ზნობის ასამაღლებლად.

ქრისტეს სარწმუნოებასაც ხომ თვით ჯოჯოხეთის წყაღების წარმოადგენა ერთ ასეთ საშუალებათაგანად მიანჩია, რომ მორწმუნე აღამიანი შიშით ააშოროს ზნე-დაცემულს ცხოვრების გზას. ჩვენს ძველს ეკლესიებში ხშირად ნახათ ტაძრის კედლებზე გამოხატულს უშრეტს ცეცხლს, საცა ცოდილი ქორით არის ჩაქიდებული ძმის მკვლელობისათვის

და შავი რქებიანი ეშმაკები თავს დახვარიან. წარბინებულმა საფრანგეთის მწერალმა პრუდონმა გამოთქეა ერთი აზრი ზელოვნების შესახებ: „ზელოვნება უნდა ემსახურებოდეს ცხოვრების გაუმჯობესობას შიშის საშუალებითო. თუ გინდა, რომ ზნობის გახრწნილებას ახალ-გაზდა კაცი მოაშორებო, იმას უნდა დაუხატო ავი სენით შეპყრობილი მომაკედავი, თუ რიგორ არის დახრული და დაიარაგებული ავი სენით შეპყრობილი კაცის ტანო. მაშინ ამის დანახეზე შედარწუნდება კაცის გული და თავს მოარიდებს ბინძურს უზნობასო.“ მაგრამ უცხოეთელი ანდაზა: „ეშმაკი ისე საშიში არ არის, როგორც მას ხატენო“.

ეს იყო უკიდურესი, გადამეტებული აზრი, ვამოთქმული ზელოვნების დან-შნულებაზე; რადგან საფრანგეთის ახალთაობაზე პრუდონის ესტეტურს შეხედულებას დიდი გავლენა ჰქონდა, თითქმის გენოისი ზოლაც ვერ ასცდა ამ გავლენის ცუდს მხარეს. ჩვენს სცენაზე გადმოღებული ფრანგულიდან დრამა „ორი ობოლი“ ნამდვილი პირმშო შეიღია პრუდონის შემცდარის (ულტრა რეალურის) მოძღვრებისა ზელოვნების შესახებ. ან მართლა ვინ დაიჯერებს, რომ ერთის კაცის, ან ერთი ოჯახის და თუნდ საზოგადოების ყო-


ფაქტობრივად შიშობდა სისაძაგლის მეტი არა მოიხიბნებოდეს რაჲ მისი მომქმენდი გეჲნი გაცოცხლებული სატანების და ნამდვილი რქებანი ეშმაკები იყვნენ. რასაკერაფელია, აქ უკიდურესმა წყურბილმა ნერვების აშლისამ გამოიწვია ასეთი ბუნების წინააღმდეგი ცრუ ფეფქტები სტენისა საფრანგეთის ცხოვრებაში.

ეს ის დრო იყო, როდესაც ნაპოლონი მესამის მტარვლობამ და თეთი-მყარობელობამ წაართვა საზოგადოებას თითქმის მთავრობითი ძალა, როდესაც ხალხს იმდენი არა ეკითხებოდა რა თავის საქმეების გამგეობისა, როდესაც მთავრობა ყოველს წერილობას საქმეში ერეოდა და ხალხს ეუბნებოდა: შენ იყავ ხელგაუწმრეველი, უზრუნველი, მიეცი თავი დავიწყებას, სიამოვნებას, ან არა და კაინაში*) გავასვირნებო. მე ვიქნენი შიშობდა შენი საზოგადო საქმეების მზრუნველი და გამგებელია. აი, ამ დროს მართლაც საფრანგეთის საზოგადო ცხოვრების მაჯისცემა შესწყდა ცოტა ხნობით. შექმნილი ნაწილი საზოგადოებისა იყო მოწყენილი, უსაქმო და მოწყენილობისაგან ამოქარებულა. ამ ხანაში საფრანგეთის საზოგადოება და ხალხი ითხოვდა ხელოვნებისაგან, რომ მოწყენილი ვართ და გავართეთ, მიძინებელი ნერვები ავიშვალეთ, გამოგაფხზილეთ სტენური ფეფქტებითა. ამისგამო მსახიობითი ხელოვნება ეძებდა ისეთ ცხოვრების ამბების წარმოდგენას სტენაზე, რომ მაყურებელს თმა ყალყზე ადგომოდა ზე მისი ნერვები აეშალა. სწორეთ ასეთი მიმართულების ნიმუში არის დრამა «ორი ობოლი» ჩენს სტენაზე. ეს ფრანკული ცრუ მიმართულება ხელოვნებისა შემოიტანა ჩენს სტენაზე განსაკუთრებით ბატ. კ. მესხმა, რომელიც მეტად გატაცებული დაბრუნდა საფრანგეთიდან ფრანკული სტენითა. მაგრამ ჩენს ბუბუ შოკარს სტენურ ხელოვნებას ასეთი მიმართულება და გაყოლა ფეფქტებისა მდენელობის მეტს უშეკვლია არას მოუტანდა, როგორც ამას ხედავთ დღეს. ჩენი მსახიობები და ჩენი დრამატული მწერლები, რაც შეი-

ძლება, იკიშებიან, კანში აღარ ეტყვიან, რომ რაიმე საოცრება წარმოადგინონ სტენაზე და აღუძრან ნერვები ჩენს საზოგადოებას. ნამდვილი ხელოვნება კი ქართულ სტენაზე თითქმის აღარ არის. ჩენს სახიობას თავისებურობა აღარ ეტყობა. რომ კიდევ გამოჩნდეს ენემ ნამდვილი ჩენი ცხოვრების სურათების გამოამქანდაკებელი, ეგრე კი ეიწონეთ იმის წარმომდგენს მსახიობებს. გონება-მიძინებულს საზოგადოებასა, შესაძლებელია, არც კი მოეწონოს ასეთი სურათი, რადგან იგი უკვე გადაჩვეულია სინამდვილის მოსმენას და გავებას, რადგან იგი ფრანკული სტენის ფეფქტებით გაუჩნევებულია. აი, სად იმალება უმძიმესი სენი ჩენის ქართულის მსახიობისა.

რაიკა შეებება თეთი წარმოდგენას «ორი ობოლისას», უნდა ეთქვას, რომ ძალიან მწყობრად იყო ყოველი მსახიობი რიგინად ასრულებდა თავის როლს. ჩენი სტენის მსახიობები: საფ-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა და ალექსევე-მესხივე სწორედ მარგალიტებით ერჩოდნენ. იმათი წყალობით და იმათმა მაგალითმა ყოველი გაგლაკი მსახიობი ჩენის მსახიობისა ვაჯეთა და ვახალისისა. ისინი, თითქმის ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ წარმოდგენაში და ყველამ რიგინად ასრულა თავისი როლი, ასე გასინჯებნი მობენფისეც კარგი და წუნ-დაუდებელი ჩნდა თავის როლში. ეს ყოველთვის ასეა, როცა მეთაურები კარგი ჰყავს რომელსამე კრებულს. ჯარშიაც მაგალითად, როცა მხედართ-მეთაურები გმირები არიან, მაშინ ყოველი ჯანჯალ-მაიარი და მხდლი ჯარისკაცი გმირად იქცევა. ამიტომაც სასურველია ქართული სახიობის წარმატებასათვის, რომ საფ-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა და ალექსევე-მესხივე ისევ დაუბრუნდნენ ქართულს სახიობას. თეთი წარმოდგენამ კარგი შთაბეჭდილება იქონია მაყურებლებზე, მობენფისეს ბევრი საჩუქრები ჰხვდა. მაგრამ თეატრს კი ეტყობოდა ქართველი საზოგადოების უყურადღებობა. ლოკები და წინა წყობის სკამები ცარიელები იყვნენ.

მახაკალი.



უღარდელის ზოიკს



ღამე ზიხარ უღარდელად და ტკბილად მღერს შენი ქარი; მე შორიდან ყურს დაგივდებ, ვერ-წასული და გახზდარი.

რა ექნა, შენმა ტკბილმა ხმებმა ვერ მომრცხეს გულს ნალევლი; მე იგივე შეე ბედი მტანჯავს, მაინც ვკენესი ცრემლის მღვრელი.

მე წამებულს სიღარიბით რას მარგია ტკბილი ხმები?!

*) საფრანგეთის კაინა ჩენეზური ცომირობა.

პურის ლუკმის შოენისათვის
ულეთო ჯაფით წელში ეწყდები.

შენ კი ვერ გრძობ, ცრუ პოეტო,
ჩემის გულის მიძივ წყლულსა
და შეხარი მოწმენდილს ცას,
ეარსკლავებით მოქარგულსა.

ან და მოეარეს შესცქერაბარ,
შეტრფი იმის სინაზესა,
ან შეამკობ ამომაელს
ცხოველ-მყოფელს დილის მზესა.

როს მე ჩენსა შეაბედს ესწყველი
და თვალთაჲნ ვლერი ცრემლებსა,
შენ იმ დროსა აამღერებ
ტკბილ-ხმოვანსა ფრინველებსა;

ასწერ ქალის სიტუფიდას,
მის მომხიბლავს შეწინებებს
და ინატრი მასთან ყოფნას,
მის გულ-მკერდში ჩაკონებას.

რას ეაქვე მე შენს ტკბილს ხმასა,
იგი მდიდრებს იამება;
კუჭ-მამდარსა მის მოსმენით
სული, გული დაუტკება.

მე შიშობილით კუჭი მეწვის,
სილარიბით მტკივა გული,
ცვენისი ეწყველი გაჩენის დღეს
უშეცრებით დაჩაგრული.

შენც ჩაგრული მოძმების
მკურნალად ხარ დასახული;
მაგრამ შენი ბოროდება
კარგათ არ გაქვს შეგნებული.

დაგვიწენია, რომ არსებობს
ხალხი, ბედით დაჩაგრული...

შენ უჩვენე ასეთს ხალხსა
წმინდა ღოამ თავის ხსნისა,
დანაბეე ნათლად მას გზა
მისალწვეად ამ მიზნისა...

წინ წაუძლედ ასეთს ხალხსა.
შეგბრძოლეს ბოროტებას,
აგრძნობინოს თვისი ძალა
წყვეულს უსამართლოებას...

მას სანამდის მარტო ტკბილს ხმებს
გაიმღერის შენი ქნარი.
შენ არა ხარ ბენეე ხალხის
მგოსანი და მეგობარი.

ა. ლ. ჩხურობიძის-პირველი

მცირე შენიშვნა



ვერის № 240-ში არის დასტამბული „ბუნ-
ების მეტყველების მოყვარის“ მიერ წერილი,
რომელიც შეეხება სამეცნიერო წიგნების
უქონლობას ქართულს ენაზე. ერთად ერთი მიზე-
ზი ამგვარ არა სასამოვნო მდგომარეობისა, როგორც
სამართლიანად ამბობს ბ-ნი „ბუნების მეტყველების
მოყვარე“ არის ქართულს ენაზე ტერმინოლოგიის შე-
უმუშაველობა, და უქონლობა. აეტარი ზემოხსენ-
ებულის წერილისა ბ-ნი „ბუნების მეტყველების მო-
ყვარე“ ავალებს წერაკითხვის გამავრცელებელ საზო-
გადობას და ქართულ წიგნების გამოცემულ აშხა-
ნაგობას, მიიღონ თავის თავზე ამ საქმის ინიცია-
ტივა და მოიწვიონ მკოდნე პირები საბუნების-მეტ-
ყველო ტერმინოლოგიის დასადგენად. რომ ბ-ნი
„ბუნების მეტყველების მოყვარის“ სატყვები არ დარ-
ჩენ გაუგებლად, ჩვენც აღვნიშნავთ აქ ზოგიერთ არა
სასურველ ვარაუდათა, რომლებ მიზნებს შეადგენს
ქართულს ენაზე სამეცნიერო წიგნების უქონლობა.

ზოგიერთ ჩვენებურ სკოლებში უკვე ენება დარ-
თულია, რომ ყველა საგნების სწავლება სამშობლო
ენაზე წარმოებდეს. აქ დედასახელებთ მხოლოდ წი-
ნამძღვარიანთ კარის საშუაწინო სკოლას. ამ სკო-
ლის წესდების ძალით ყველა საგნების და მასთან
საბუნების-მეტყველო საგნების სწავლება სამშობლო
ენაზე წარმოებს, რასაც მოითხოვს, როგორც კე-
თილ გონიერული აზრი პედაგოგიკისა, აგრეთვე საქ-
მის ნაყოფიერად წარმოებაც. ახლა ეკითხოთ, რა
უკიდურეს მდგომარეობაში არიან ამ სკოლის მას-
წავლებლები ქართულს ენაზე ტერმინოლოგიის შე-
უმუშაველობისა და სამეცნიერო წიგნების სახელ-
მძღვანელოების გამო? ისინი იძულებულნი არიან
მსთარგმნონ პირდაპირ რუსულიდან საბუნების-მეტ-
ყველო საგნებიდან გაკეთილები, ტერმინები, ან და
თეთონ დაადგინონ, მოიგონონ ისეთი ტერმინები,
რომლებიც „ბუნების მეტყველების მოყვარის“ არი-
ყოს „გულს გიშფოთებენ და უსამოვნო შთაბეჭდი-
ლებას ჰგვრიან. საკვირველიც არ არის ამას შემ-
დეე, რომ საბუნების-მეცნიერო საგნები ქართულს
ენაზე, როგორც სასურველია, ვერ ისწავლებოდეს.

წინამძღვარიანთ-კარის საშუაწინო სკოლა თა-
ვის ვრცელი პროგრამით ამ ფამად წარმოადგენს
ერთად ერთ სასწავლებელს ჩვენში, სადაც სხვა ჩე-
ნებურს სკოლებში აბუჩად ავდებულს სამშობლო
ენას ქვეს შესაფერისი პატივი, ვრცელი და სრული
მოედანი საფარჯიშოდ. რომ ღმერთმა იპირანოს და
ამგვარი სკოლები ჩვენში გამარადდეს, რასაც სია-
მოვნებით მოელის ყველა ჩვენი ვტყაი ხალხის გულ-
შემატკივარი, მაშინ ხომ უფრო მეტი მოთხოვნილე-

ბა იქნება სამეცნიერო წიგნებისა, სახელმძღვანელო-
ებისა ქართულს ენაზე — ჩვენ აქ დაეცასხელვებთ ერთს
წიგნს, რომელიც ღირსია ყურადღებისა მისთვის,
ვინც კი იკისრებს სამეცნიერო ტერმინოლოგიის
დადგენას, შემუშავებს ქართულ ენაზე. ქუთაისის
გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა მმართველს ბ.ნ.ს.
ა. ს. გამრეკლოვს აქვს ქართულს ენაზე ხელნაწე-
რი „სამი სამეფო ბუნებისა“ — (три царства при-
роды) დაწერილი პეტერბურგს 1814 წ. ბატონი-
შვილის იოანეს მიერ. რასაკირველია მეცნიერების
მხრით ხსენებულს ხელნაწერ წიგნს ჩვენთვის დიდი
მნიშვნელობა არ აქვს, რადგანაც თვითოეული გან-
ყოფილება მეცნიერებისა თან-და-თან იკვლევა და
იძენს სრულ-ყოფილებას, მაგრამ რაც შეეხება ტერ-
მინოლოგიას, ის წარმოადგენს საუკეთესო განძს
ჩვენი სამეცნიერო ლიტერატურისათვის. დღეს,
როდესაც ზოგჯერ ერთს ენაზე ეფიქრობთ და
მეორეზე ესწერთ, უნებლიეთ ვყვებით იმ ენის
წყობილებას და თვისებას, რომელზედაც ეფიქ-

რობთ. ამის მაგალითი ათასია იმ ორიოდ სამეცნი-
ერო წიგნებში, რომელიც ზოგიერთებს უთარგმნაით
ამ მოკლე დროში რუსულიდან ქართულად, სადაც
არა თუ ტერმინები - სიტყვების გაწყობაც ფრაზაში
ჰლაღატობს წმინდა ქართულ ენას. სამწუხაროდ ჩე-
ნი ცნობილი პედაგოგების ხელსამძღვანელოებიც
საესეა რუსიკიზმებითა, რუსულად ნაფიქრი და ქარ-
თულ ენაზე გადმოღებული; რუსული ლექსთა-
თხზვა ხშირია მათ ნაწერებში.

ჩვენ მიერ დასახელებულ წიგნში სიამოვნებით წაე-
კითხეთ შარშან რამდენიმე აწერილობა მეცნარეთა,
ცხოველთა, ქვე-წარმაფლთა და სხ, სადაც მეტის-მეტო
სიფრთხილით არის დაცული ქართული ენის სიფაქზე და
მკაფიობა. ბ.ნი გამრეკლოვი უძველესია ათხორებს
ხსენებულს წიგნს ჩვენ წერაკითხვის გამაგრებლად
ბელ საზოგადოებას და ან ქართული წიგნების გა-
მომცემ ამხანაგობას, უკეთეს ისინი იკისრებენ მის
გამოცემას. ამ წიგნის გამოცემა არა მცირე სარგე-
ბლობას მოუტანს იძით, ვისაც სწავდს სამშობლო
ლიტერატურას გაუწიოს სამასხური.

ლ. ბოკაძე.

ქ ე მ ბ ა თ ა - ქ ე მ ბ ა

ქ ანღმა დაჰვარა ქვეყანა,
მკედარნი საფლავში სტირიანი;
ია არ მოჰყავს გაზაფხულს,
ამოვარდნილა ძირიანი.
ხეს არ მოუსხაშს ფათოლი,
მთა აღარ ამწეანებულა;
სიტკბოთ ნაქები თაფლიცა
წამხდარა, გამწარებულა.
მზე ველარ ათბობს ქვეყანას
მიშქრალა, გაშავებულა.
მატლად ირევა ჩემს თვალ-წინ,
რაც ქვეყნად დაშავებულა.
გუნდი ცოდათა წყეული,
აე-სულთა ჩანადინარი,
მებგევა თვალში და გულში,
სისხლს მადენს, როგორც ისარი.
გაძნობა წინ მიმეზიდება,
უკან მიმართევს გონება;
მახეილმა გამჭრა შუაზე
მჭირს ამისგამო ღონება.
არსად სჩანს ჩემთვის წამალი,
არსად სჩანს ჭირთა ფონება
ძნელია, მეტად ძნელია
შავის ბედისა მონება!

გული მომიკლა სეედამა,

ხელემა გონება არია;

ყველასთან გულ-წრფელობა

გამხადა ცოცხალ-მკედარია:

ჩემს ბედს თავს ადგა აედარი,

ჯერ არ უწახავს დარი.

სიყვარულისა ფილში

შხამი ჩამისხეს მწარია.

ველარ მშველს გულის სიმხვევე,

ვერც ხმალი, ველარც ფარია.

არაგვო, მოიშველიე

ზღაზნეთ მდინარი მტკვარია.

თქვენ მაინც რაღე მითხარით,

გულისა მოსაფხანია.

სთქვით რამე ძეელი ამბავი,

სად გაწყდა ქართლის ჯარია,

რას ფიქრობს საქართველოზე

ურჯულთა თათრის ხანია,

რა გვექნა, დრომა რა გვექნა,

რომ აღარა სძრავს ქარია?

ენ მოსჭრა ძუძუ დედასა,

დახშო სამოთხის კარია,

კერაზე წყალი დაგვისხა,

გამოგეიჯარა კარია?!

ზღვა გადმოგეიგდო მარჩობლად,

თავს დაგეცა ნიფ-ღვარია?!

ისიმე წაწყმდება სულითა
გეარით წყეულიმეც არია!
მოგეტაცა ჩიროლანები,
ალარ გეალირსა კერია,
გაგეხადა ძიერი სამოსი,
ტანზე ჩაგვაცეა ჩერია.

აგერა ჯადოქარები,
შხაპის, ბოროტის გულები!
იმათ ნაყელეტის ხალხისა
სისხლისა მოჩანს გუბები!
არ მოეწყინათ ბოროტთა
საქმე და ქცევა ცუდები.
რამ ამოავლოს ჩვენ შორის
აე-სული დანაბულები?!
ვერ შეგიყვარებ, ბოროლო,
რაც უნდ მტყენო კარგადა,
მიანცა მძულხარ, მიანცა
მოსიარულე კრავადა.
ათი-ათასჯერ დაგწყველი
მოგხისნიებე ავადა.
არ მიწდა შენი საღამი,
არ მიწდა შენი ძღვენი.
დაჩაგრულების მჩავერელო,
მზარავს, მძულს სახე შენია!
არ გასაჩენი უფაღსა
ნეტაე რად გაუჩენია?!

ბეგრმა იპაკა ბოლოსა,
თუმეც ბაქიობდა თეშია
და ღღეს კი ტყინ-გაყინული
ალარ ეტევა კანშია.
აგი და კარგი ქვეყნისა
მას ალარ მოსდის ჭკეაშია,
„პრინციპი“ — „იდეები“
ვადუსროლია წყალშია.
მამა-პაპათა ანდერძი
მიკიტნებს მისცა ეალშია.
ღღეს იგი ქვეყნის მოზარეს
ცეცხლს უღებს, როგორც ჩალასა,
მის აზრს და წრფელსა გრძობასა
ეძახის ხათაბალასა.

ზოგმა გაყიდა ნაშუსი
ღღეს ის სულ-ხორცი თხვისია;
მისვან რას კეთილს მოვლით
ეინე გულ-გონებით მქისია?!

ალარც ქვეყნის ხმა აშინებს,
ალარც რომ მსჯავრი ლეთისია!

სათქმელად ფრიად ძნელია,—
უფრო სასმენლად ყურითა:
ყვეთა ხელთ იგდეს ბულბული
მსტყენს დაკადილის გულითა.
ყვენიც ყურს როდი უგდებენ
გონება ბრმანი შურითა.
ისინი თაე-მოაწონელა
უფრო ძლიერად ჩხავიან,—
სიტურფის მწვერელად უცენიათ
თუ დაიყვირეს ძალიან.
საღლაა ბულბულის სტყენა
და მისი ტკბილი ჰანგები!
დაჩრდილულია მისი ხმა,
რაკი ჩხავიან ყვეები?!

ერთი რამ საცოდნელია
და სასწავლელი მტკიცედა.
ძმანი რომ ვერ რიგდებოდენ,
ერთმანეთს მოაჩიდვთა.
წაეიდენ სხე-და-სხეა მზარეს,
იარონ კიდი-თ-კიდვთა.
ერთი გახვება სამგლელა
მეორეს შეჭხერენ ტურანი,
ჩამოიქცევა ოჯახი
თაეს დატყევა ბურანი.
ჭკეა დიდი საქონელია,
ბრიყვისთვის მიუწოდმელი,
ფიჭრი და აზრი კეთილი
არს მისთვის მიუტელომელი.
ნუ თუ ცალ-ხელა მუშასა
არა სჯობია ორ-ხელი?!
ბრიყვი ჭკეიანის ბარგია,
ზურგით სათრევი გუდადა,
უნდა ჭკეიანმა ასწონოს
ბრიყვის ნათალი მრუდადა.
მაგრამ ჭკეიანთაც იპაკეს
მოსწყინდათ მრუდის სწორება,
მიტომ ნაეარდობს უბირი
ეტყობა თაე-მოაწონება.
გათამამებულს სიბრიყვის
ან კი რა შეეწონება!..

დაძერება მეღასაყითა,
ღღე ფებს არ აღებს ჭიასა,

თუ ჰნახავს უპატრონოს სახლს და კარს შეამჩნევს ღიასა, შეძებრება გამოალაგებს, რაც კი რამ მოსახელია, წაიღებს, დაისაკუთრებს, თუ ლამეც შეზღუდა ბნელია; მაგრამ ჯერ ცოდეა თავისი არვისთვის გაუმხელია. ყველას თავს ისე აჩვენებს, რომ დაღის მადლის მქნელია. არაყის სჯერა, თუ მართლა იგი მშიერა მგელია. იგი ჩენია, ჩენი ძმა, ჰგონია, კი კაცია; მოლა მასრადინს ეამბავსვის წვერ-ცმაცუნა ვაცია. ჭორტიკაც არის, ყბედიცა, ხან-და-ხან კიდევ ცეტრა. რა ბევრი ვაჭიანურო, — სწორედ ორ-ფეხა მხეცია.

მოტყელებილი აქვს კინკრიხო ზედ ასჩენია ქეცია; თვალებს ძირიდან აცეცებს, ერთის შეხედვით ბეცია.

კაი კაცობით ამ სოფლად ევლარეინა სჭამს ლუქმასა, წაფართოთ სხვასა, აველიჯოთ, აენი ფიქრობენ სულ მასა. კარგნი უტკერენ სერისა, ასტევენ ოხერა — სულთქმასა; მაგრამ ბჭაეის საშველად არა ფიქრობენ არასა, ეერ აბრუნებენ თვის ჭკვაზე უკულმა მზრუნავს ჯარასა. თუ მერც ცარცვა მიერგოთ, აეს ეერ ეტყვიან: «მარა»-სა. დავმსგავსებულვართ ყველანი ცტერის უპატრონო ფარასა.

ვაჟა-ფშაველა.



ლერწამ-კაღლაძში ნადირბა

(პრინტ ჰენრის ორლენის ინდოეთში მოგზაურობიდან)

წულო ორი დღე არ იყო, რაც გამოვესალმეთ ლერწამიან ადგილებს და უტკრათ გეცნობებს, რომ იქ ალბოციჩინათ ლეკვებიანი ძუ ეფები.

ეს ადგილი ბუჩქნარებით საესე იყო, ლელწმით, კალმით, ლელით და სხვა ამ გვარი მცენარეებით მოცული. ზოგს ფოთლები ჩქერს მიუგვანდა, ზოგს ნეესებივით ეკლიანები ჰქონდა და სურათი გაბანდულ იყენ სხვა მცენარეებთან ერთად აქე, რომ კაცი შიგ ეერ გაატანდა. ამ ადგილს ერთ მხარეს მიუღიოდა პატარა მდინარე და თუმცა სულაც განიერი არ იყო, მაგრამ გადასვლა ყველას ენენღეცოდა, რადგან მისი ჭობიანი ძირი საფლობი იყო.

ერთი მონადირე გვეყვდა შეჩვეული, სახელად ჯალი ერქვა, პირველად ამან მოგვითანა ეს ამბავი და რცლად კიდევ მარლად ეფხებმის ბუნავის მიგნება; საშინელი ჩაყვითლებული და უშნო სახისა იყო და ახირებით ყოველთვის ლურჯს პერანგს იცეამდა, უყვარდა სმა, თუმცა თავის-თავს ნამდვილ ინდოელათ სთელიდა.

შევიტყუეთ ეს ამბავი თუ არა, ჩენც ეს გენი-დოდა, მაშინვე ლელიან გზას შეუდგეით. ჩენი მო-

გზაურობა სწორეთ ნახვით ღირდა, სპილოებზე გა მართულ კუბო-კრულებში ეისხედით, თოფები დამზადებული გეკონდა ეფხბისთვის და ასე მიედლოდით. მაგრამ კარგა მანძილი გავიარეთ, ეფხბი კი არსადა სჩანდა. ეფიქრობდით: აი, ავერ წამოდგება ნადირი. და, აი, ავერ!... მოლოდინით მოვიქანცეთ ბოლოს სხვა ნაირად დავიწყეთ საქმე: გარშემო შემოევებით ამ ბუჩქნარებს და ყოველ მხრიდან მივაწყეთ. ქალბატონი მორე, რომელიც იყო ჩენი თანამოგზაური, მდინარის თევში ჩადგა. მე ყველას შუაში ეიყავი. ღვისს წინაშე ჩენ ყველას გვეშინოდა ეფხბისა. თითონ სპილოების გზების მაჩვენებლები, ბელადები, შაშით უქან რჩებოდენ.

ბოლოს ჩემ ბელადს საჩუქრის საღერღელი აეშა-ლა და ჩემი სპილო ყველაზე წინ წაიყვანა. ჩემ მატარებელს ცული გზა არ შეაფერხებდა, ჯაგებს ეფხბემ თელავდა, ეეება ლერწამებს თავისი ეშვებით ძირს წინაშე, ამის გამო ჩემი კუბო-კრული-სავარძელი საქაელასავით ქანაობდა, ევლარა მვემებინარა, ძლიეს ეიმპარებდი თავს, სწორე გითხრათ, დიდ-კაცობა ყოველთვის კარგი არა ყოფილა.

გავარდა თოფი. თურემ ქალბატონ მორეს ყველაზე უწინ დაენახა ეფხბი და ესროლა.

ძუ ეფხბს როდესაც შეეშინა, რომ ხერხით ლეკებს ეერ გადაარჩენდა ვამომტარიყო ჩენთან სა-



ვეფხი ავარდა სპილოზე და ჩასტიდა კლანეები ჰერკოს

ბრძოლველად. მისმა საზარელმა ბრძღეინემ სპილოები გადარია. აირ-დაირიენ ყველანი, მაშინ ვეფხი ისევ ლელწმებში შიივალა.

მინდოდა გამოედგომოდი, მაგრამ საერთო არეულობამ ხელი შემიშალა.

იმის გამოჯაერებულნი, ნადირი რომ ხელიდან

დაგეისხლტა, პატარა ხანს უკან კიდევ უფრო ხალისით დაეიწყეთ წინ სელა და ლელწმ-კალმის ჯეგა. ჯალიმ მიმითია იმ ბუჩქნარებზე, საცა ეკულებოდა ძუ ეფეხი. საშინელის ძალით მიაწეა ყოველ მხრიდან ეს ჩენი ორმოც-დაათი სპილო ამ გაუეულ ბუჩქნარებს. მე კი დაედევ ისეთს ადგელს, რომ ეე-

ფხისთვის მესროლა, როცა ბუნაგიდან გამოავდებდნენ.

დადგა საშინელი წამი. ჩამოვარდა სიწუმე. ხოლო სპილოები შიშისაგან ჭყიოდნენ, ეტყობოდა ეფები ახლოს იყო.

ჩემი ბიძაშვილი, ჰერცოგი ფილიპე, ყველაზე წინ შევიდა შუაგულ ლელწმებში. უცურად ვაფთრებული ძუ ეფები გამოვარდა ბუჩქებიდან და მე დამეტაკა, მაგრამ დავახალე თუ არა ორჯელ თოფი, ისევ გაექანა ჰერცოგისკენ. ავარდა სპილოზე და კლანჭები ჩაისჭიდა იმის სავარძელს, მერე თავა ზედ ვერ შევიმავრა—ჩამოვარდა და ძირს დაეცა. ჰერცო-

გმა ესროლა თოფი ალაღმებზედ. სპილომ შიშისაგან თავი აიწყვიტა და მოჰკურცხლა. ჰერცოგს კი ლელწმებში თოფი გაუტყდა, თითონ თავი ძლიერ შევიმავრა, რომ გაქანებულ სპილოდან არ გადმოვარდნილიყო. ჩვენ ბედზე სპილო მალე შეჩერდა და ჰერცოგი უვნებლად გადმოხტა.

ქალბატონი მორე და ბუასი გამოეშურენ ჰერცოგის საშველად. გზაზე თვალი მოჰკრეს ძუ ეფუხის ერთ ლეცს და იმ წუთასვე მოჰკლეს.

თითონ ეფები კი გადაეცემალა და მეორე ღღეს იმავე ადგილას მოკვალით.

ა. თ-წ—სა.



ე მ ა

მართულად მოვლილი ბალი საესე იყო მოსწავლე ახალგაზღვებით, ზოგნი ისხდნენ გძელ სკამებზე, ზოგნი წიგნებით ხელში ცალ-ცალკე დადიოდნენ ბილიკებზე, ზოგნი ჯგუფ-ჯგუფად დასდევდნენ ამხანაგებს. რომლებიც ბაასოდნენ. ბაღს არ დასჯერებოდნენ მოსწავლეები და სამეცადინოდ ასულიყვენ განიერ კედლებზედ, რომელიც გარს უვლიდა სასწავლებელს და მონასტერს. აქაც კარგი ადგილი იყო სამეცადინოდ: საერთოლიანი ფართო ზღუდე საკმაოდ მოხერხებულ თავ-შესაფარს წამოადგენდა. მართალია, კედლის ეიწრო და მაღალი ქანჯურებიდან ქარი უბრაყდა, მაგრამ იქიდანვე შეენიერი გადასახედაეი იყო დაბისკენ.

აქ, ამ ზღუდის ერთ კოშკთან, იდგა ახალგაზდა, რომლის ახლად აშლილი შავი წვერულფაში, შავი თევლები, ელფერი და მთლად სახის მოყვანილობა აჩვენებდა, რომ ის ჩრდილოეთის შვილი არ იყო. მიქანსული, ფერმიხდილი და კაციკვებით უყურებდა ის საშხრეთისაკენ მთებშიეთ. ამართულ ღრუბლებს; იმათ მივყურათ ყმაწვილი კაცის ყურადღება და მისი აზრი ვაფრენილიყო იქით. შორს, მთიან სამშობლოში.

— რას გაშტერებულხარ? დროა წაივით, მზე გაღმეწერა, დაუძაბა გიგოს ამხანაგმა, რომელიც იქვე მესადინობდა.

ამხანაგები გაემგზავრენ მინდერისაკენ, გასცდნენ უქანასკნელ სახლებს პატარა დაბისა, რომელშიაც იყო იმათი სასწავლებელი, გავიდნენ ხეცს და ჩამოსხდნენ მწვანე ბეჭზე. ძირს, ხეეში, მოჩანჩქარებდა ნაკადული, ხეცს გაღმა იწყებოდნენ მწვანით შემოსილი მინდერები, იმათ იქით ტყე. დასავლეთ-სამხრეთისკენ მოჩანდნენ მონასტრის ღიდრონი ეკლესიები და

უხარმაზარი სამრეკლო; ოქროთ დაფენილ გუმბათებზე კრთებოდნენ და ლაბლაპებდნენ ჩამავალი მზის სხივები.

ამხანაგები შეხაროდნენ აყვავებულ ბუნებს და ლაბარაკობდნენ მომავალზე, სამშობლოში ცხოვრებაზე. სამშობლო მხარე, იმისი ბედი, იქ ცხოვრება შეადგენდნენ უკეთეს ოცნებებს ამ უცხო ქვეყანაში მოსწავლე ახალგაზღვებისას. ისინი ნუგეშობდნენ მომავლით, რომელიც მოჩანდა ბრწყინვალედ, ფართოდ, სანდომოდ. შესწყდა საუბარი, ისინი სახეზე მოთამაშე ღიმილი ამტკიცებდა, რომ მთლიან სანაამონე გრძობას გაეტანათ.

ყმაწვილკაცები ოცნებიდან გამოიყვანეს ჩილილებმა, რომლებიც უცურად გამოჩნდნენ იმათ წინ და თავქვე ჩაფინენ: იმათ თავს წაადგა ორი ქალი, რომლებშიაც ერთი მთლად ნორჩი იყო. იმისი ლურჯი თვლები, ახალგაზდა გაპოზილი ვარდის მზგაესე ბავე, მალხაზი მიხერა-მოხერა ცხოვრებაში გამოცილისაც კი შეათრთოლებდა. ახალგაზღვები წამობტენ. ამხანაგის თითმა აწერა პარში თითქმის მთელი წრე და შეიპყრო ქალისაგან იმისკენ გაწვდილი ბროლივით სუფთა პაწაწა ხელი, გიგოს გამხდარს და ფერმიხილდ სახეს სიწითლე მოერია, გაშეშდა ადგილობრივი და ხელის ჩამორთმევეც კი ევლარ მოახერხა. ექმას ღიმილმა გაუთამაშა, როცა მიუახლოვდა გიგოს და უთხრა:

— მე მთლად გავათავე გამოცდები და, აი, შინაც მოვიდე, თქვენ კი ეკონებჯერ ისევ შრომობთ. — დაიღ, უსასუხა ამხანაგმა, კდეე რამდენსამე სავანში გამოცდა დაეგრჩა.

— ფილოსოფიაში და ღღეთის მეტყველებაში არ გამოუცდივართ ჯერ, ჩაურთო სიტყვა გიგომ, რომელსაც ნაცნობ სავანზე ლაბარაკმა გაუხსნა კრიჭა. მაგრამ ორივე ისეთი სავანებია, რომ.....

— რომ ვაწყვეტინა ქალმა სიტყვა საალერსო შემქნისლ ფეხის ბაკუნით, რომ მე იმათზე ლაპარაკის გუნებაზე სრულებით არა ვარ; მე მინდა ჯერ მომილოცოთ სწავლის გათავება და მერე სასეირნოთ წამოვიყვით! ყმაწვილები დამოარჩილდენ ბრძანებას.

სვეტებიანი დიდი დარბაზი საესე იყო ახალგაზღობით. ორ რიგად ჩამწკრივებული გველ სტალებზე სასმელებით საესე ბოთლები და ხორაგეულობა ეწყო. სტალებს გარს ეხვიენ მოქიფეები. ზოგნი სტალებთან ვეღარ დატეულიყვენ და იმათ აწედიდენ საესე ბოთლებს, რომლებიც სწრაფად ცარიელდებოდენ. ისმოდა სიმღერა. ყმაწვილკაცობას თანდითან ერეოდა სასმელი. აგერ აქეთ ორს სიყვარული გაცხოვრებით, გადახევიან ერთმანეთს და ჰკოცნიან; იქით ერთობის, ძმობის, თავისუფლების გასაძლიერებლად იყუდებენ საქე ქიქებს; ის გამწარებული აქრიქინებს სკრიპკას, რომლის ხმაზე ორი მოსწავლე ცეკვეს ახირებულ „ტრეპაკას“; ეს ზურგ თეთრად გათხუნჯულს ბოლოს ჩახუტებია და ცდილობს ვალსს, პაპიროსის ბოლი დარბაზს ღრუბელსავეთ ედება. არყის სუნნი თანდათან ძლიერდება, აუტანელი ხდება. ხმაურობა მატულობს. ატაცებული სიმღერა და ბაასი თანაბარ ღრიანცხლად გადაიქცა. ცალცალკე მოცეკვეების რიცხვმა იმატა... ახალგაზღობას დიდი დღესაწაული აქეს დღეს: მთელი სასწავლებელი ულოცავს ერთ კურსს უკანასკნელ კლასში გადასვლას.

შეზარბოშებულიყო აშხანავიც, საესე ქიქით ხელში დამეძება ის თავის ვიგოს. ვიგო იქით, მორიდებით, ჩაყურება წერილს და იმის თვალგზში ატაცება იხატებოდა: ემმა ულოცავდა იმას ბოლოს ქურსზე გადასვლას.

— იმისაგან? კითხა აშხანავმა.

— სწორედ! ესლა მომივიდა.

— დაკოცნე უსტარი! დავლიოთ იმის სადღეგძელი, ისიც ჩვენი ქვეყნის შვილი გახდება.

ტყისკენ მიდიოდენ ქალ-ფანეი. იმათი სიცილი და ლალობა არემარეს აცოცხლებდა. ვიგო და ემმაც იმათში ერიენ. ახალგაზღობა შეეფარა ტყეს და გაიფანტა. ვიგო და ემმა ასდგენ სხეებს და შეწყვიტეს ლაპარაკი: ნეტარებამ მოუსპო სიტყვა.

— რა უხეირო რამა ხარ! დაარღვია სიხუმე ქალმა; ყვავილები მიინც მომიკრიფე.

ყმაწვილმა მორათო ყვავილების კონა. ემმამ მოინდობა ყვავილების გულში გამაგრება, მაგრამ

ათრთოლებული ხელი ვერ დაიმორჩილა: ქალწულის მკერდმა ლელვა დაიწყა; მორცხვად დახრილი თვალებიდან ძლიერი გრანობა გამოკრთა. გიგოც გაიტაცა გრანობამ; იმან ევღარ მოწყვიტა სატრფოს თვალი. ბუნების მიმზიდველობითმა ძალამ დაახლოვა ისინი, იმათი ბავებები ერთმანეთს შეეწებენ...

ბუჩქიდან მოისმა ბულბულის სტენა: ის ქებას უძღვნიდა ბუნების ძალას, რომელიც და ამ ორ არსებებს შუა გახორციელდა ესლა. და ბუნებაც უღიროდა იმათ, აკურთხებდა იმათ კავშირს. საღებდა ბულბული. შეყვარებულები გამოტრკევენ ნეტარებას...

გზაზე ემმას საათის ძეწკვი ხის ტოტს წამოვღო და გაწყდა: ქალს ფერმა გადაკრა და შემკრთალმა შეხედა ვიგოს, რომლის სახეზედაც ცრემლოწმუნეობითი შიში გამოიხატა; მაგრამ ისინი მალე მოეგნ თავს და სიცილით გადახევიენ ერთმანეთს.

ხშირი ბინდი იყო. გაფოთლილ ხეებს და ბუჩქებს უფრო ჩაენრდილათ ბაღის კუთხე, სადაც საღლაზე ამართული იყო სამლოცველოს პატარა ძეგლი, რომელშიაც ხატის წინ ლამპარი ენთო. სიხუმე იყო. ვიგო ძეგლის წინ სკამზედ იჯდა და წერილის კითხულობდა; სახეზე მღელვარება ეტყობოდა.

...რა სიხარულით წამოვიედი კურსებზე! სწერდა ემმა. რა ატაცებით ვისმენდი პირველ ლექციებს! ქეშმარიტების ტაძარი ღია იყო ჩემ წინ და იქ შესასვლელად ძალას უხვად გვარნობდა ჩემს შენდამი სიყვარულით აფრთოვანებულ არსებამი. მაგრამ მალე დაიწყო განწყობა იმ ატაცებამ: შენმა აზრებმა, ტრფობის დამაფრეულმა შენმა აზრებმა, შეიპყრეს ჩემი გონება და დაბადეს იმათში იმედის მაგიერად ხალისის დამამზობელი ეჭვი. შენი უკანასკნელი წერილი... მახსოვს, მახსოვს შენი აზრი ცხოვრების იდეალზე და სიყვარულზე შენი ფიქრით ცხოვრების მიზანი, რომლის სამსახური ვეღად ვაძვეთ თქვენ, ისეთი მაღალი და მძიმეა, რომ მოითხოვს კაცის გონების და წინგობის ძალას მთლად, მსხვერპლად მოითხოვს იმის არსებას. სიყვარულად არ არის ნაკლებად მძიმე საგანი, ისიც ნაკლებს სამსახურს და მსხვერპლს არ ითხოვს. ამისთვის თუ მოტრფილიეები ცხოვრების იმ იდეალს ერთგვარად აღიარებენ, მაშინ იმისათვის შესაწირავად გამზადებული ძალა არამეტოუ არა მცირდება, არამედ ძლიერდება, ორკედლებზე; მაგრამ, წინააღმდეგი, თუ ერთ-ერთი მოტრფილიეთაგანი ვერ თანაუგრძნობს ცხოვრების იმ მიზანს, თუ ის კიდევ ეწინააღმდეგება იმას, მაშინ ის

ძალა სუსტდება, მკირდება, რადგან იმას მოითხოვს სათაისოდ სიყვარული, რომელიც მაშინ წამოადგენს იდეალს წინააღმდეგ ცალკე საგანს. მოტრფილი იძულებული ჰხდება ან დატოვოს ერთ-ერთი საგანი და მეორეს შეუღდეს. ან, თუ ვერ ამოიჩინებს იმათ შორის მელსამე, — ეერ დააკაყოფილოს ვერც ერთი მოთხოვნილება, ვერ მისწვდეს ვერც ერთს. და რადგან, მწერ შენ დაქვემდებარებული, შენი იდეალი ცხოვრებისა არ შეადგენს, არ შეიძლება შეადგინდეს, ჩემს იდეალსა, ამისთვის შენ იძულებული ხარ ამოიჩიო ჩვენს სიყვარულსა და შენს ცხოვრების მიზანს შორის ერთ-ერთი...

მაგრამ, ჩემო, განა ეს მსჯელობა ჭეშმარიტია? ნუ თუ ტრფობა, ეს ზემონაწერი წმინდა ლტოლვილება, უნდა ეწინააღმდეგებოდეს იმისთანა წმინდა ეალს, როგორც არის შენი ცხოვრების მიზანი? ან თუ ერთი ტომისათვის წმინდა საგანი ჰდება მეორე ტომისათვის ბოროტ საგანად? — არა! ეს სხეანაირად უნდა იყოს...

თუნდ ესეც იყოს! ელიარებ, რომ ტრფობა არის ჩემი ზედერი და ეწირავ იმას ყველაფერს, რასაც ეალად მდებს ჩემი სხეაობა. სხეაობა! განა ეიდევ სხვა ეარი? განა სიყვარულის უძლიეველმა ძალამ არ შეეკქნა ჩვენ ერთხორც ერთსული? განა შენი ცხოვრება და იმისი მიზანი აუ არ არის ეიევე ჩემი ცხოვრება და ჩემი ცხოვრების მიზანი? განა ჩვენი მისწრაფებები არ არიან მისწრაფებები ერთისა და იმავე გულისა?... ეპარა! აშუთდა სული, გრძნობამ დამიხშო მსჯელობის ძალა, გულმა დაიმორჩილა გონება და ნება: გული შენია — მთლად ჩემი არსება: ც ჩემო, შენია...

განა მე, ფიქრობდა გიგო, ნება მაქვს უარეყო ეს წმიდა გრძნობა? განა შემიძლია დაეთრგუნო ეს ჩემი ბედნიერება? არა!... მაგრამ იქნება ეს ჩემი პირველი განსაცდელია ბედისაგან მოგზავნილი იმის გამოსაცდელად, რამდენად შემიძლია უარი ეთქვა პირად ბედნიერებაზე მიზნის გულისათვის... ჩემი პირად ბედნიერება! — ეერა ზედვე, რომ აქ შენს სიყვთესთან დაკეშირებულთა სხეისი ბედნიერება? და ეინ მოგეცა უფლება დაჩაგრო სხეისი გული, მსხვერპლად მიუტანო ის შენს ოცნებებს?... იქნება ცოლური ცეცხლით აგზნებული სატრფოს გული მართლს ამბობს და მსხვერპლი არ იყოს აუცილებელი, ბედნიერების უპყფავ არ იყოს საჭირო? უმანკო გრძნობა და წმიდა მიზანი იქნება არ არიან ერთმანეთის წინააღმდეგები? არა, არაფერს შეუძლია დამაშოროს სატრფოს!

სიყვარულისა ალითა ეს ჩვენში გული ეწოდეს და სატრფოს სახე მარად ეს სულსა აღბეჭდვით თან სდევდეს, ამა სოფელსა მას რაჲ წინა საბრკველად აღუდგენს?!

მატოტრო ახრო! თაე-მოყვარეობისაგან მოსყიდულო მსჯელობაე! გახსოვს, რომ „ეერის ენლომწუფების ორთა უფულთა მონებად: ანუ ერთი იგი მოიძულოს და სხვა იგი შეიყვაროს, ანუ ერთისა მის თაეს იღვას და ერთი იგი შეურაცხყოს?“ და ან რომელი მალალი ახრო ასრულებულა, თუ იმას არა ჰყალია მოლენაწევი, რომლგესაც დატოვითა იმის გულისათვის ყველაფერი, რაც ძერფავისა ამ სოფლად, მსხვერპლად მიეტანოთ იმისთვის ყველაფერი, უარი ეყოთ ყოველივე და შესდგომოდენ იმას?!

„ჰე, მამულო სასურველო! ეინ გახსენოს, რომ მის გული არ ათრთოდეს სიხარულის აღტაცებითა აღესილი? ეინ გიხილოს დროსა საშიშს, არ დასთხოოს თვისი სისხლი, არა დაკლას თაე თვისი შენ დიდებად, ეითა მსხვერპლი?“

